თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს

სხდომის ო ქ მ ი № 2

ქ.თელავი 10 აპრილი 2018 წ.

თავმჯდომარეობდა: ლ.ლილუაშვილი.

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები:ზესიკ ქოჩიშვილი, ზურაბ მუსაევი, გიგა ორკოდაშვილი, ნანა ხვისტანი, ლევან კოჭლოშვილი,ალექსანდრე შათირიშვილი, დავით ღაღანიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, უჩა ჭოტიაშვილი, ლევან მრელაშვილი.

დ ღ ი ს წ ეს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის დასვენების პარკის „ნადიკვარი"-ს ტერიტორიაზე მდებარე ღია თეატრის გასახდელი ოთახების რეაბილიტაცია;
2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯლის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და გამზიონების მოწყობა;
3. საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ" მე-4 მუხლის მოთხოვნების შესრულება, კერძოდ ქართულენოვანი წარწერების რეკლამის მიზნით გამოყენების შესახებ;
4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრიწყლების ბაგა-ბაღის ეზოს ღობის რეაბილიტაცია;
5. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში სანაგვე ურნების გამოყოფის შესახებ;
6. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილის ზესიკ ქოჩიშვილის შვებულების შესახებ;

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის დასვენების პარკის „ნადიკვარი"-ს ტერიტორიაზე მდებარე ღია თეატრის გასახდელი ოთახების რეაბილიტაცია;

აზრი გამოთქვეს: ლ.ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის დასვენების პარკის ,,ნადიკვარი"-ს ტერიტორიაზე მდებარე ღია თეატრის გასახდელი ოთახები საჭიროებენ რეაბილიტაციას.

გადაწყვიტეს: წინადადება, თელავის მუნიციპალიტეტის დასვენების პარკ ,,ნადიკვარი"-ს ტერიტორიაზე მდებარე ღია თეატრის გასახდელი ოთახების რეაბილიტაციის შესახებ, მიზანშეწონილია წარედგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯლის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და გამბიონების მოწყობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლ.ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯლის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ხევი საჭიროებს ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას და გამბიონების მოწყობას. ფრაქციის თავმჯდომარეს მხარი დაუჭირეს ფრაქციის წევრებმა.

გადაწყვიტეს: წინადადება წარედგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს 3. საქართველოს კანონის ,,რეკლამის შესახებ" მე-4 მუხლის შესაბამისად ქართულენოვანი წარწერების რეკლამის მიზნით გამოყენების თაობაზე, აღმასრულებელ ორგანოს მერიის მიერ შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნ. ხვისტანმა აღნიშნა, რომ აუცილებელია საქართველოს კანონი ,,რეკლამის შესახებ" და კერძოდ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნების შესრულება.

გადაწყვიტეს: წინადადება წარედგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს 4: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრიწყლების ბაგა-ბაღის ეზოს ღობის რეაბილიტაციის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლ.ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრიწყლების ბაგა-ბაღის ეზოს ღობე საჭიროებს რეაბილიტაციას, აღსაზრდელების უსაფრთხოების მიზნით, მას მხარი დაუჭირეს ფრაქციის სხვა წევრებმაც.

გადაწყვიტეს: ფრაქციის წინადადება ეცნობოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს 5: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში სანაგვე ურნების გამოყოფის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლ. კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარაჯალა საჭიროებს დამატებით სანაგვე ურნების განთავსებას. მას მხარი დაუჭირეს ფრაქციის სხვა წევრებმა.

გადაწყვიტეს: ფრაქციის წინადადება ეცნობოს ბიუროს სხდომას.

ოისმინეს 6: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილის ბესიკ ქოჩიშვილის შვებულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ფრაქციის წევრებმა და აღნიშნეს, რომ წინააღმდეგები არ არიან ბესიკ ქოჩიშვილის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით;

გადაწყვიტეს: მიეცეს შვებულება ბესიკ ქოჩიშვილს 2018 წლის 16 აპრილიდან 2018 წლის 20 აპრილის ჩათვლით;

ფრაქციის თავმჯდომარე: ლ. ლილუაშვილი